# ივერია

№ 25 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 25


**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ, მარტის 1-ს- 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს- 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

ამ № ერთად ყველა ხელის მომწერთ, რომელსაც სრულად წარმოუდგინეს წლიური ფასი გაზეთისა, ეგზავნებათ თ-დ ა. სუმბათიშვილის „ღალატი".

1 თებერვლიდან ჰმოქმედობს ქუთაისში განყოფილება ჩვენის გაზეთის კონტორისა. ხელის მომწერთ და აგრეთვე განცხადების დაბეჭდვის მსურველთ ქუთაისში შეუძლიან მიჰმართონთ პირდაპირ ამ კონტორას.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ღალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა

თარგმანი გრ. ყიფშიძისა

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულიად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

## 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას. ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе") და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი"** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი **უპრემიოდ**: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის" **კონტორა** ყოველ დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათმდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში**:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში**:—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: Тифлисъ, Редакція „Иверія".


ქვრივი მართა ზურაბ ლორთქიფანიძის ასული, და ძენი მისნი ვლადიმერ და გრიგოლ კონსტანტინეს ძენი ალშიბაიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ გარდაცვალებასა: პირველი მეუღლისა, ხოლო უკანასკნელნი მამისა, სტატ. სოვეტნიკის

**კონსტანტინე ზოსიმის ძის ალშიბაიასას**

რომლის ტირილის დღე დანიშნულია სამს თებერვალს. (3—2)

**რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

ამ წლის პირველ იანვრიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

# ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

# იჯარით აქვიდა

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარარე მხატვარი **ტარასია სიმონის ძე მომცემლიძე.**

## ქართული თეატრი

ორშაბათს, 2 თებერვალს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

**გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ**

I

ახალი პიესა

## ინჟინერი სიძე

კომედია 3 მოქ. აზიანისა.

II

ახალი პიესა

## დარისპანის გასაჭირი

სცენა 1 მოქ. დ. კლდიაშვილის

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ნებიერიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი მომატებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: გუნიას საბენეფისოდ ახალი პიესა „ჩატეხილი ხიდი" და „ძალად გაგიჟებული".

რეჟისორი ა კ ა კ ი.

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ორშაბათს**, 2 **თებერვალს**, 1904 **წ.**

გაიმართება ორი წარმოდგენა

დილით

ძალიან დაკლებულის ფასებით

წარმოდგენილი იქნება

I

## ცხოვრება მეფისათვის

ოპერა 4 მოქ. ეპილოგით. მუს. გლინკასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: კარტავინა, ლელინა, ბ-ნნი: სელიავინი, გრინევი, გავრილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი.

დასაწყისი შუადღის $12^1/_2$ საათზედ

**ს ა ღ ა მ ო თ ი**

ო. ვ. ენკვისტას საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება

**პიკოვაია დამა**

ოპერა 3 მოქ. 7 სურ. მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ენკვისტასი, სელიუკ-როზანტოვისა, კალინინა, ჩუმესოვასი, სკორუპსკისა, ლელინასი; ბ-ნნი: დარსკი, ილიუშჩენკო, ამირჯან, ევლახოვი, პერელლი, გავრილოვი, გრინევი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი

უფროსი რეჟისორი მ. ნ. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან.** შორეულ აღმოსავლეთში ომიანობის დაწყების გამო, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს თავად-აზნაურთ მობრძანდნენ თავად-აზნაურობის საგანგებო კრებაზედ, რომელიც დანიშნულია ამ წლის 5 თებერვალს დილის 11 საათზედ თავადის ქობულაშვილის სახლებში (გრიბოედოვის ქუჩა). (3—22—1)

კავკასიის მცირე წლოვან დამნაშავეთა საზოგადოების გამგეობა სთხოვს წევრთ, რომ მობრძანდნენ საზოგადოების კრებაზედ კვირას, 15 თებერვალს.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში გამგეობის მოქმედებისა 1903 წ.
2. ანგარიში შემოსავალ-გასავლისა 1903 წ.
3. ანგარიში ზემო ავჭალის კოლონიისა
4. ხარჯთ-აღრიცხვა 1904 წ.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
6. საკითხი გამგეობის ოთხის წევრის კანდიდატთა და სარევიზიო კომისიის არჩევის შესახებ.
7. მოხსენება ახალშენის წესდების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

შენიშვნა. კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ ოც წევრზე ნაკლები არ დაესწრება. (§ 17 საზ. წესდ.) 3—უ—1

# ექიმი
# ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მორინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**მრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $8^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

**ჩინეთი.** უმფროსმა ცენზორმა მოხსენება მიართვა იმპერატრიცას, რომელშიაც ურჩევს შეაიარაღოს ხუნგუზები და საომრად გაგზავნოს რუსეთის წინააღმდეგ.

—

**პორტ-არტური.** აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზედ რამდენიმე იაპონელი ჯაშუში შეიპყრეს.

—

რუსეთის ადმინისტრაციამ ღონის-ძიება მიიღო იაპონელთა გასაძევებლად რუსეთის სამფლობელოდგან.

პორტ-არტურიდგან მრავალი ჩინელი ჩიფუს გადასულა, რომ ომიანობის დროს არა დაუშავდეთ-რა.

ეხლახან პორტ-არტურიდგან რომ ესკადრა ზღვაზე გავიდა, იმის შედეგი ყოფილა, რომ იაპონიის ფლოტმა დემონსტრაცია მოახდინა კვანტუნის ნახევარკუნძულთან. რუსეთის ესკადრა შემდეგ ისევ პორტ-არტურში დაბრუნდა.

—

**ბერლინი.** დიპლომატიურ დამოკიდებულების შეწყვეტამ რუსეთსა და იაპონიის შორის დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კვირა დღესაც-კი გაზეთები რამდენჯერმე გამოდიოდა. ქუჩაში ხალხი ერთიერთმანეთსა სტაცებს ხელიდგან დეპეშებს, ყველგან ჯგუფად იკრიბება და მსჯელობა აქვს ახალ ამბების გამო. ყველა იმ აზრისაა, რომ მოლაპარაკების შეწყვეტა ომის გამოცხადებაა.

—

**ამერიკა.** თუმცა შეერთებულ შტატებს ძლიერი ფლოტი აქვს ფილიპეს კუნძულებზე, მაგრამ 12 დეკემბერს მაინც გაგზავნა კიდევ ფლოტილია, რომელშიაც ხუთი სანაღმო გემია და ერთი კრეისერი „ბუფალო". ამ ფლოტილიამ მშვიდობიანად განვლო ატლანტის ოკეანე, ცოტას ხანს შეჩერდა კანარის კუნძულზე, გაიარა ხმელთაშუა ზღვას და იქნება სუეცის არხსაც გასცილდა. ესეთი სწრაფი და გაბედული მოგზაურობა შედარებით მსუბუქ გემებისა დიდს ოკეანეზედ უნდა იმას მოასწავებდეს, რომ ჩრდილო-ამერიკის შტატებს რაღაც განზრახვა აქვსო. პანამის კანალი რომ მზად იყოს, მაშინ ამერიკას უფრო გაუადვილდება თავის ფლოტის გაგზავნა შორეულ აღმოსავლეთისაკენ. მართალია ჩრდილო ამერიკა მშვიდობიანობის მომხრე იყო, ხოლო, რაკი ომი ატყდება იაპონიის გამარჯვებას მოინდომებს. სავაჭრო ხელშეკრულობის დამტკიცებას იმისთვის ჩქარობდა და ჩინეთსაც ძალას ატანდა, რომ მიზეზი ჰქონოდა მეთვალყურედ ჩასდგეს შორეულ აღმოსავლეთში. იმასვე მოასწავებს მანჯურიაში ახალ საკონსულოების დაარსება.

—

**რუსეთისა და იაპონიის** ფლოტს შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთის ერთ ადმირალს შემდეგი ცნობები მიუცია

ტერბ. გაზ.“ თანამშრომელისათვის, რომელსაც უკითხავს, ვის უფრო ძლიერი ფლოტი ჰყავს, რუსეთსა თუ იაპონიასაო?

იაპონელებს, უეჭველია დიდძალი და ძლიერი ფლოტი ჰყავს, ხოლო ჩვენც არა გვიშლის-რა უკეთესი ვიყოლიოთ, რადგან ჩვენ უფრო მეტი შეგვიძლიან. წარსულ წელს დიდ-ოკეანეზედ ჩვენს ფლოტში იყო 8 დიდი და საშინელი ესკადრის ჯავშნიანი გემი, რომლებზედაც თორმეტ-თორმეტი დიუმიანი ზარბაზანია, წვრილი ზარბაზნები რომ არ ჩავთვალოთ, ამ ესკადრაში, ჯავშნიან გემებს გარდა, იყო 11 კრეისერი პირველის ხარისხისა, 5 მეორესი, 7 მსუბუქი ნავ-გემი, 2 ნაღმის მიმცემი კრეისერი, 5 — საქონლის და 56 მომცრო ნაღმის მიმცემი ნავ-გემი. სულ ესკადრა შესდგებოდა 94 სხვა და სხვა ხარისხის ორთქლ-მავალ გემებისაგან. წელს კიდევ მიემატება ახალი გემები, რომლებიც პეტერბურგში მზადდება — „ბოროდინო“, „ალექსანდრე III“ და „დიდი სუვოროვი“. როგორც ჰხედავთ, ეს ფრიად დიდი ძალაა და არაფრად უნდა ეპაშნიკოს ჩვენს მტერს. ჩრდილოეთშიაც დაცურავენ „კამჩატკა“ და 9 ნაღმიანი გემი ახალის კონსტრუქციისა, ასე რომ ჩვენს ძალას შეადგენს 108 სამხედრო გემი. ხოლო ამას გარდა გვაქვს გემები პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკშიც. პორტ-არტურში არიან „რაზბოინიკ“ 7 სანავთსადგურო გემი, 7 ნაღმის მიმცემი. „ლეიტენანტ ბურაკოვი“ და „ერმაკი“, ვლადივოსტოკშიაც არიან 3 სატრანსპორტო, 5 ორთქლ-მავალი, 6 სანავთსადგურო გემები, 2 ბარკასი, და 10 ნაღმის მიმცემი დიდი და პატარა. სულ შესდგება 150. იაპონიას-კი ამდონი ძალა არა აქვს და მხოლოდ ეხლა აკეთებინებს ახალ გემებს, რომ ჩვენ გაგვისწორდესო. ჩვენს დროში ნაღმიან გემებს დიდი მნიშვნელობა აქვთ.

—

ფრანგულ გაზეთ „მატინ“-ში დაბეჭდილია წერილი ლონდონელ კორესპონდენტისა, რომელსაც ჰაიაშთან, იაპონიის ელჩთან ჰქონია ლაპარაკი რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების შესახებ. ელჩს უთქვამს იაპონია თხოულობს, რომ ჩინეთი მანჯურიით ხელ-უხლებელი იყოს და ამის გამო ხელ-შეკრულობა დაიდოსო.

— რუსეთმა რომ უარი სთქვას? — უკითხავს კორესპონდენტს.

— მაშინ ომი ასტყდებაო.

— იაპონიის მთავრობა მტკიცედ ადგია მაგ მოთხოვნილებას.

— დიაღ, მაგის უარის-ყოფა შეუძლებლად მიაჩნია.

— რუსეთმა რომ საერთოდ ყველა სახელმწიფოებს და მათ შორის იაპონიასაც გამოუცხადოს, რომ მანჯურიას გაანთავისუფლებს?

— ჩვენ დაპირებას ვერ დავემყარებით, ჩვენ გვინდა ხელმოწერილი პირობის ქაღალდი გვეჭიროს. აქამომდე რუსეთმა არა დაგვითმო-რა. ევროპამ არ იცის საქმეთა ვითარება შორეულ-აღმოსავლეთში, ვერ შეუგნია, რამდენად საშიშია და საზარალო იაპონიისათვის მანჯურიის დაჩემება უვადოდ და უპირობოდ. იაპონიას თავის ინტერესების დასაცველად. არავისი დახმარება არ უნდა, ჩვენ ჩვენის ძალით გავუსწორდებით რუსეთს,

—

პარლამენტის დეპუტატად ნამყოფმა სინკლერმა ინგლისის ერთს გაზეთში წერილი დაჰბეჭდა, რომელშიაც გამოარკვია რუსეთ-იაპონიის უთანხმოება და განცვიფრებით ამბობს, ნეტა რაზე მოსდით ამ ორს სახელმწიფოს კინკლაობა და ომსაცკი აპირობენო.

სტატისტიკურის ცნობებით ვიცით, რომ უცხოელთა ვაჭრობა კორეასა და მანჯურიაში სახარბიელოს არას წარმოადგენსო. 1902 წელს კორეაში შეუტანიათ 39,006,625 ფრანკის საქონელი და გაუტანიათ 21,595,600 ფრანკისა, სულ აღებმიცემობა 60 მილიონამდე ადისო. მანჯურიაში-კი ვაჭრობა უფრო მცირეა და 28 მილიონს ფრანკს არ აღემატება. ამ რიგად უნდა იომონ 88 მილიონისათვის და ზედ ბევრით მეტი უნდა წაადონ, სისხლის ღვრა და აუარებელი მსხვერპლი რომ არაფრად ჩავაგდოთო, ომი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, $2^1/_2$ მილიარდ ფრანკს დაღუპავს, მაშასადამე, იაპონიამ უნდა მოანდომოს სახელმწიფოს ოთხის წლის შემოსავალი (წელიწადში 616,125,000 ფრ.) და რუსეთმა — ცხრა თვისა მაინც — წელიწადში 3,111,145,000 ფრანკი რომ ვიანგარიშოთო.

ღირს განა, რომ მანჯურიასა და კორეას გამო ამოდენა ფული დაიღუპოსო?

—

ჩინეთი და კორეა ჰფიქრობენ, ომში არ გაერიონ და მტკიცე ნეიტრალიტეტი დაიცვან. ხოლო რა წარმოსადგენია მათი ნეიტრალიტეტი, რადესაც მათი მიწა-წყალი საომარ ველად უნდა გადიქცეს, ორ სახელმწიფოს ჯარი უნდა შეესიოს და სთელოს. კორეის მართებლობა ორ ცეცხლ შუა არის და იძულებულია ორში ერთს მიემხროს. ჯერ შეჰყურებს, ვინ უფრო მეტს ძალას გამოიჩენს, გამარჯვება საით გადიხრება, რომ კორეაც იმას მიეკედლოს. ჩინელებიც ჯერ იცდიან და ცბიერობენ. როდესაც დაატყობენ, რომ ერთი მხარე დასუსტდა, მაშინ ისინიც უძლიერესს მიემხრობიან და მასთან ერთად გამარჯვებულის სახელს მოხვეჭენ. ამისთანა მტერ-მოყვარე არც ერთს მხარეს არ გამოადგება, ეს კარგად იციან რუსეთმაცა და იაპონიამაც, რის გამო მათს ნეიტრალიტეტს არ ენდობიან და ეჭვის თვალით უყურებენ.

რუსეთისათვის უფრო კარგი იქნებოდა, რომ ჩინეთს ხელი გამოელო, რადგან მაშინ აღარ მოერიდება და აღარც დაზოგავს. ეხლა-კი უნდა ეცადოს, ვითომ და მშვიდობიანობის მომხრე ჩინეთს არაავნოს-რა, მის სამფლობელოს, მანჯურიის გარდა, არ შეეხოს და ამით უცხო სახელმწიფოები არ აალაპარაკოს და არ აამხედროს.

ყველა სახელმწიფო, რომელიც გალაშქრებას აპირებს, წინად გამოიკვლევს მტრის სამფლობელოს, აღნიშნავს სუსტსა თუ მიუვალ ადგილებს, ომის გეგმას შეიმუშავებს და ისე შეუდგება საქმეს. იაპონიასაც, რასაკვირველია, უკვე შედგენილი აქვს ომის გეგმა, ხოლო საიდუმლოდ ინახავს. ერთმა იაპონელთა ჯარის პოლკოვნიკმა, გვარად ოკამ, გულ-უბრყვილობით, თუ განგებ, იაპონიის გალაშქრების გეგმა ცოტაოდნად გამოაქვეყნა. როგორცა სჩანს, ეს გეგმა სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს. რუსეთ-იაპონიის ომი საზარელი და ხანგრძლივი იქნებაო — უთქვამს სარდალს. ჩვენ ზღვაზედ გავიმარჯვებთ, ამას თვით რუსებიც ვერ უარ-ჰყოფენ, რადგან ჩვენ უფრო ძლიერი ფლოტი გვყავსო. სამაგიეროდ, დიდად გაგვიძნელდება ხმელეთზედ ბრძოლა, თუმცა ჩვენ ხმელეთზედაც ძლიერნი ვართ და კარგად ვგრძნობთ ჩვენს ძალასაო. რა წამს ომი დაიწყობა, ჩემულპოში გავგზავნით ჩვენს ჯარს, რომელსაც ფლოტი გაუწევს მფარველობას. საფიქრებელი არ არის, რომ ამ ყინვა-სიცივეში ვლადივოსტოკის ესკადრა პორტ-არტურისას შეუერთდეს. იაპონიასა და კორეას შორის ისეთი ვიწრო გასავალია, რომ გემებს არ გავატარებთ. პირველად-კი უნდა ვეცადოთ, რომ ომი ზღვაზე დაიწყოს და რუსეთის ფლოტი დავამარცხოთ. შემდეგ საჩქაროდ გადავსხავთ ჯარს ჩემულპოში და ხაბრინისაკენ გავამგზავრებთ. ჩემულპოდგან ხაბრინამდე მხოლოდ 800 კილომეტრია და გზაც კარგია. რაკი ხაბრინს დავიჭერთ, მაშინ აღმოსავლეთის გასაღები ხელთ გვექნება, აღარც აქედ გავატარებთ ვისმე და აღარც იქით. პირველი მედგარი ბრძოლა ჩემულპოსთან მოგვიხდება. ბევრსა ჰგონია, ვითომც რუსეთი თავის ფლოტს პორტ-არტურში გააჩერებს, რომ ციხის ზარბაზნებმა დაიფარონ. ჩვენ-კი ვფიქრობთ, რომ ადმირალი ალექსეევი ეცდება ჩვენს ტრანსპორტს გზა შეუკრას. თუ რომ რუსეთი ვერ გაბედავს ჩემულპოში შეგვებრძოლოს, მაშინ ჩვენ მივალთ იერიშით და პორტ-არტურს ყუმბარებს დავუშენთ. ხმელეთზედაც ჩვენს ძალას ერთს ადგილს ექმნება თავი მოყრილი. რუსეთის ჯარი-კი გაფანტული უნდა იყოს პორტ-არტურს, დალნის, მუკდენს, ნიუ-ჩუანსა და ვლადივოსტოკში, რადგან არ ეცოდინება, სად დაეცემა მტერი; მიშველება ჯარისა ერთი ადგილიდგან მეორეში შეუძლებელია. თუ რომ ჩვენმა ჯარმა სძლია ყოველი დაბრკოლება და ხარბინს მიაღწია, მაშინ შესაფერს ჯილდოს მიიღებს. იქ მრავალი სანოვაგეა დამზადებული, რომელსაც დავეპატრონებით. ჩვენ შევკრავთ რკინის გზას და რუსის ჯარს სიმშილით შევავიწროვებთ. დალნი და პორტ-არტური მოწყვეტილი იქმნება სხვა ჯარებისაგან, ყველა მხრიდგან შევესევით და უკანასკნელის ბრძოლით ომს ბოლოს მოვუღებთ.

**ოდესა.** ოდესის ვაჭრების აღებ-მიცემობა შორეულ აღმოსავლეთთან ბოლოს დროს მეტად დაეცა. სანავოსნო საზოგადოება უკან უბრუნებს თავის პატრონებს მთლად იმ საქონელს, რომელიც შორეულ-აღმოსავლეთში უნდა გაეგზავნათ. რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების მოსპობამ და ელჩების გამოწვევამ ცუდად იმოქმედა ბირჟაზე. პურს აღარავინ იყვითავს და ვაჭრობა შესწყდა. 25 იანვარს იაპონიის კონსული საზღვარ-გარედ წავიდა.

—

დეპეშებიდგან ვიცით, რომ რუსეთი საჩქაროდ ყიდულობს ქვა-ნახშირს და შორეულ აღმოსავლეთისაკენ გზავნის, რომ თავის ფლოტს მიაშველოს. აქამომდე უფრო ქვა-ნახშირს ინგლისში ყიდულობდნენ და ინგლისმა რომ შეუკრას, მაშინ რუსეთის ფლოტს გაუჭირდება შოვნა, მეტადრე თუ სავაჭრო გემებით გაგზავნილმა ნახშირმა დანიშნულობამდე ვერ მიაღწია. გამოანგარიშებულია, რომ ერთს დიდს კრეისერს დღე და ღამეში 18,000 ფუთი სუფთა ქვა-ნახშირი უნდება. თუ რომ ესკადრაში 10 კრეისერია, დღეში 180,000 ფუთი დასჭირდება. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი უნდა დასჭირდეს მთელს ფლოტს ერთის და ორის თვის განმავლობაში. ძნელი საქმე დაემართება რუსეთის ფლოტს, თუ რომ ზღვა შეიკრა და ქვა-ნახშირი ვერსად იშოვა.

—

**ბერლინი.** 26 იანვარი. საერთაშორისო საქმეთა დაუწყნარებლობის გამო, იმპერატორი აღარ გაემგზავრება ხმელთა შუა ზღვისაკენ. გერმანია ნეიტრალიტეტს დაიცავს, იმედოვნებენ, რომ ინგლისიც ჯერ-ჯერობით ესე მოიქცევა. რაც შეეხება იმ ხმებს, ვითომც საფრანგეთი და ინგლისი შუამდგომლობას განაცხადებენ მებრძოლთა მოსარიგებლად; ამის იმედი მეტად საეჭვოა. ბირჟაზედ კურსი ძალიან შეირყა, რუსეთის რენტის გარდა, გერმანიის სესხის ქაღალდებმა და ბანკების აქციებმა ძალიან დაიწიეს.

## ტფილისი

ბ-ნს არაყიშვილს დაუწერია სასიმფონიო ორკესტრისათვის სამი „აღმოსავლეთის ცეკვა“ და გადაუცია მოსკოვის კონსერვატორიის დირექტორისათვის. იგივე ბ-ნი არაყიშვილი მუშაობს ამ ჟამად გურულ სიმღერის შესასწავლად.

შორეულ აღმოსავლეთში ომის გამო 15 თებერვლისთვის დანიშნულია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრება დანიშნულია დილის 11 საათზე თავად ქობულაშვილის სახლში (გრიბოედოვის ქუჩა). თავად-აზნაურობა მოილაპარაკებს იმის შესახებ, თუ რამდენი ფული გადასდოს რუსეთის დასახმარებლად შორეულ-აღმოსავლეთში ომის გამო.

გუშინ, 31 იანვარს, ამიერ კავკასიის რკინის გზის სამართველოს საერთო დარბაზში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რათა უფალმან მიანიჭოს გამარჯვება რუსეთს იაპონიასთან ომში. პარაკლისს დაესწრნენ დიდძალი მოხელენი.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, ტფილისში დაარსოს ა. ს. გრიბოედოვის სახელზე პირველ-დაწყებითი სკოლა. ამ საგანს ჩქარა განიხილავს არსებითად.

ორშაბათს, 2 თებერვალს ქალაქის საბჭოს კრება იქმნება. კრების დაწყებამდე გადახდილ იქმნება პარაკლისი, რათა უფალმან გამარჯვება მიანიჭოს რუსეთის მხედრობას იაპონიასთან ბრძოლაში. შემდეგ საბჭო შეუდგება განხილვას ქალაქის დადგენილებისას რუსეთის მხედრობისთვის ფულის გადადების შესახებ. ქალაქის დადგენილება ასეთია: 1, გადასდოს 15,000 მანეთი ომის დროს დაღუპულ მეომართა სახლობათათვის შემწეობის აღმოსაჩენად. 2, გადასდოს 1000 მანეთი იმ ხარჯებისათვის, რომელიც საჭიროა ტფილისიდან შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ ჯარის გასაცილებლად, და 3, აღოს ნებართვა ხელის მოწერის გამართვისა ტფილისის ქალაქის გამგეობასთან იმ თანხის შესადგენად რომლიდანაც ომში დაღუპულ მეომართა სახლობას შემწეობა უნდა აღმოუჩინოს.

ტფილისის დეპუტატთა საკრებულოში მრავალი თავად-აზნაური მიდის და სურვილს აცხადებენ იაპონიის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მისაღებად.

ქუთაისის გუბერნიისათვის ახალი სავალდებულო დადგენილება გამოიცა, რომელიც ძალაში შევა 1904 წლის პირველ მარტიდან. ამ დადგენილების ძალით, ქუთაისის გუბერნიაში, როგორც დაუსახლებელ, ისე დასახლებულ ადგილებში აკრძალულია ტარება ყოველგვარ იარაღისა, ხმლებისა, ხანჯლებისა, ბებუთებისა, ფინურ დანებისა, ჯოხებისა და ტროსტებისა შიგ დამალულ დანებით. აკრძალულია იარაღის ტარება ყოველგვარ ტანისამოსზე პატივსადებ შემთხვევის დროს შეიძლება სასროლ იარაღის ტარება, ხოლო ნაციონალურ ტანისამოსზე — ხმლების ტარებაც, მაგრამ საჭიროა ნებართვის აღება ქუთაისის გუბერნატორისაგან. ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, პასუხისგებაში იქნება მიცემული სასჯელთა დებულების მე-29, 117 და 118 მუხლების ძალით.

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მოსამსახურეთა და მათ ოჯახთათვის გასართობების გამმართველმა კომისიამ ასეთი განცხადება გამოსცა: შორეულ აღმოსავლეთის ამბების გამო, რკინის გზის უფროსის განკარგულებით, ბედნიერ დღეთა დადგომამდე გადაიდო რკინის გზის სამმართველოში დანიშნული საღამოო.

ა. ს. გრიბოედოვის სიკვდილიდგან 75 წლის შესრულების გამო 8 თებერვალს ავჭალის სახალხო თეატრში წაკითხულ იქმნება ამ პოეტ-დრამატურგის უკვდავი კომედია „ვაი ჭკუისაგან“.

ა. მ. სიბირცევს გუშინ ლექცია უნდა წაეკითხა ა. ს. გრიბოედოვის ნაწყე-

## ფელეტონი

### შურდული

(საკვირაო გაზეთი

წელიწადი მეორე

№ 4.

**დაუდგრომელს.**

(ვუძღვნი „შურდულს“).

გირჩევ, ყოველთვის გახსოვდეს,
რასაცა ამბობს ბრძენთ-ბრძენი:
„მოთმინებითა შენითა
მოიპოვე სული შენი“.

—

სიფიცხე, მოუთმენლობა
ჭკუა-გონების სენია.
გულ-მოსულობით ნაქნარის
სიმშვიდის დროზე გრცხვენია.

—

საქმეს წაახდენ სიჩქარით—
მტრად გადიკიდებ მოძმესა.
შენს თავსაც ავნებ და სხვასაც,
ვერას შეჰმატებ სოფელსა.

—

გირჩევ და გირჩევ ყოველთვის,
რომ მოთმინება სჯობ ია.
სიფიცხე, მოუთმენლობა
ყოველგან დასაგმობია.

—

მაგრამ იქ არა, სადაც რომ
სამშობლო და აგრულია,
სადაც რომ თავისუფლება
წართმეულ-დაკარგულია.

ხელში აიღე ხრმალია.
სამშობლოს თავი შესწირო,
იცოდე, საღმრთო ვალია!!...

კორტოხა.

—

### მოცლილის კაცის დღიური.

5.

„ზნეობის საძირკველი არის მოვალეობა და არა გამორჩომა“

ფილოსოფოსი ე. კანტი.

25 — 31 იანვარი.

დიდ არს საქმენი და საკვირველებანი შენნი, უფალო უფალთაო! ეს წმიდა დავითის მაგონდება, როცა აწინდელ საქმეთა გარემოებას გადავავლებ ხოლმე გონების თვალსა... აღარ ხდება ქვეყანაზე საკვირველებაო; ზღაპრად თუ თქმულა, თორემ ეხლა სადღაააო. მაგრამ მოხდა-კი!.. აი, პატარა გოშია-იაპონია გაუმკლავდა დიდს ჩრდილოეთის ლომსა. აბა, გოშიას ვაჟკაცობა ვის გაუგონია!! ხომ მოგეხსენებათ ზღაპრად თქმული, გოშიამ რომ იერიში მიიტანა სპილოზე და თან უკან-უკან იხედებოდა, შემომხედეთ, რას ჩავდივარო, მაგრამ სპილომ ყურიც არ გაიბერტყა და ულვაშებ ქვეშ ეცინებოდა. ისე მოიქცა დღეს იაპონია. ჯერ საქმე არ გათავებული-ყო, იერიში-კი მიიტანა რუსეთის ძლევა-მოსილ ჯარზე და ომი გამოაცხადა. ამ საქციელს ვაჟკაცობის ნიშან-წყალი არა აქვს, ზნდილობასა და ეთიკას ულალატა და ვნახავთ, რასაც აიტაცებს.

* * *

ყოველთვის ასეა; პატარა კაცსა, კაცსაკაცუნას დიდი გული აქვს აი, ომი გამო ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს და საგრძნობელი ზარალი მიაყენეს. ანგელოზი ხომ ანგელოზია, ისიც-კი, ჟამთა ვითარებისა გამო, ეშმაკის ფრთებს შეისხამს და გაფრინდება ხოლმე კაცთა სავნებლად. ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ისეთის ფარეზობით, ისეთის მოკრძალებით, წრფელის სიყვარულით არავის ეპყრობოდა მთელს დასში, როგორც ქ-ბს ნინო ჩხეიძისას. ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილის შემდეგ ყველაზე მეტი ჯამაგირი იმას დაუნიშნა, დაუნიშნა მხოლოდ ოთხის თამაშობისთვის თვეში, რომ მსახიობი ქალი არ შეწუხებულიყო. მთელის ტფილისის ქართველობა მისის ბენეფისისთვის ზრუნავდა; კომიტეტი გულითა და სულით ცდილობდა, ბრწყინვალედ ჩაეარნა ამ დღესასწაულს. სწორედ კომიტეტიც და საზოგადოებაც ფიანდაზად გაეშალა და აი სწორედ იმ დროს, როდესაც კომიტეტიც და საზოგადოებაც ფიანდაზად რომ გაეშალა ჩხეიძისას ფეხთა ქვეშე, სწორედ მაშინ დააპირა მან ორთავეს წიხლი და «უკადრისი წერილი», სწორედ უკადრისი წერილი მისწერა კომიტეტს და დასიდან გავიდა. რათა, რისთვის? ალლაჰმა უწყის მხოლოდ!! თუ კომიტეტმა დაუშავა რამე, საზოგადოებისა რა ბრალია, იმ საზოგადოებისა, რომელმაც იგი 18 იანვარს ისე აღტაცებით მიიღო და ფიანდაზად გაეშალა. თუ საზოგადოებამ დაუშავა რამე და ღირსეულად არ დააფასა მისი ნიჭი, კომიტეტისა რა ბრალია. ამ რომ კომიტეტს მის წინააღმდეგ ანი და ბანი არ დაუძრავს, არა ვითარიმე უკადრისობა არ მიუყენებია. ჩრდილი რა არის, ჩრდილი! ჩრდილიც-კი უკადრისობისა — თუ შეიძლება ასეთი ქართული ითქვას, არ მიუყენებია. მაგრამ ეს გარეგნობით მშვიდობიანი ქალი, ანგელოსის სახით, ანუ წმინდა ასულად მოჩვენებული ქალი, შიგნიდან ჭრელი ყოფილა. გავიდა იგი დასიდან, როდესაც ბენეფისი გაათავა, ფულები ჩაიხრიალა და საზოგადოება და კომიტეტი ალალ ფერივით მოსწველა. რაც უნდა ვისმეს ეწყევინებინა, ნინო ჩხეიძეს სეზონი უნდა დაემთავრებინა. ქაღალდი შეიტანა კომიტეტში 23 იანვარს და სეზონი თავდება 8 თებერვალს — ამ ორის კვირის გულისთვის ქართველ საზოგადოებისთვის, რომელმაც იგი, განვიმეორებთ, ისე შეიყვარა და შეიტკბო, არ უნდა ეღალატნა, ქვა არ უნდა ესროლნა. მგრამ, პირდაპირ ვტყვით, ქ-ნ ნინო ჩხეიძეს, რამდენადაც იგი ნიჭიერი მსახიობია, იმდენად, სულის ძალა არა ჰქონია და ამიტომ შემუსრა იგი იმ გარემოებამ, რომელიც მის გარშემო დაამყარა ეშმაკმა.

ხომ მოგეხსენებათ, ერთმა ეშმაკმა მთელი დასით-დასი წმიდათა ანგელოსთა თვით საბაოთ ღმერთს გადუდგინა, და აბა, ჩვილი არსება ნინო ჩხეიძისა, ამ ერთად-ერთის ანგელოსისა, როგორ გაუძლებდა იმ ტარტაროზსა, რომლის ბჭყალებშიაც ის ჩავარდა. გვებრალება, გვებრალება ეს ბუნებით მშვენიერი, მაგრამ სულით-კი სუსტი ადამიანი, რომელიც თავის ხელითვე იგლიჯს ტარტაროზის ტრაპეზზე.

ნუ დაივიწყებთ და გულის ფიცარზე დაიწერეთ სიტყვები დიდებულის ფილოსოფოსის კანტისა: „ზნეობის საძირკველი არის მოვალეობა და არა გამორჩომა“.

* * *

ომი გამოუცხადა კომიტეტს დრამატიულ საზოგადოებისას ბ-ნმა კ. მესხმაც: შეიტანა ქაღალდი, დასში ყოფნა აღარ მსურსო. ააა, აი სად ყოფილა დამარხული ძაღლის თავი, თუ კუდი!!. ახლა სრულიად ცხადია ჩვენთვის ნინო ჩხეიძის გასვლა დასიდან. მგონი, ტფილისელ მკითხველისათვისაც ცხადია ეს, მაგრამ პროვინციელ მკითხველისათვის-კი გასაგები არ არის ეს ამბავი და, უეჭველია, პროვინცია დაჰგმობს, როგორც კომიტეტს, ისე საზოგადოებასაც, მაგრამ შემდეგში გავაცნობთ მკითხველებს.

* * *

ევრიკა!.. წუხელის დამესიზმრა ისეთი რამ, რომელიც ნათელს ჰფენს ამ შემობილებულ-ანგელოსისა ეშმაკის-ხრიკებსა... დამესიზმრა, ვითომ ნინო ჩხეიძე და კ. მესხი ბაქოში მიემგზავრებიან შესადგენად დასისა. ჩვენ აქ პერანგის საკინძს დავიბერტყოთ ძველებურად-ჩვენებურად და იქ-კი იმათ ღმერთმა გამარჯვება მისცეს!!.

—

### ტფილისი

— ვნახე სოფელი უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო, ჩვენი ქალაქის მამებზედ ზედ გამოჭრილი. ეს დალოცვილები, არ ვიცით, ადამიანებად არა გვგონიან, თუ როგორ არის მათი საქმე. ამას წინათ ხო

რთა ღირსების შესახებ, მაგრამ ლექციის წაკითხვა სხვა დროისთვის გადაიდო.

29 იანვრისთვის დანიშნული კრება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა არ შესდგა და გადაიდო სხვა დროისთვის.

ნავთლუღის მცხოვრებლებმა მიჰმართეს ტფილისის ქალაქის მოურავს, ჩქარა დაგვიკმაყოფილეთ ამას წინად ჩვენ მიერ აღძრული შუამდგომლობა, რომელიც ქუჩების მოკირწყვლასა და სანაკეთესოდ განათებას შეეხებაო.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა წესდება ტფილისში განზრახულ საზოგადოებისა, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტის და დედათა უმაღლესის კურსების ღარიბ მოსწავლე ქალებს. წესდება ტფილისში უკვე მოვიდა.

კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობის წინაშე სახჩერის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღძრეს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსების შესახებ.

დღეს, 1 თებერვალს, არაქსიანის თეატრში (ავლაბარში) დანიშნულია დილით ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნება ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“ და ვოდევილი „კრთ კრთ“. დასაწყისი დილის 11 საათზე. ადგილების ფასი 10 კ-დან 60 კაპ.-მდე.

27 იანვარს ტფილისის მეპურეებმა აირჩიეს მეპურეთა ამქრის უსტაბაში და წევრი. მამასახლისად გიორგი სხირტლაძე იქმნა არჩეული.

# ჩვენებური ამბები

**თელავი.** თელაველმა ქალებმა ისეთ ნაირად გაიკვეთეს ლოტოს თამაშობა, რომ სიზმარშიაც-კი სულ ლოტო აგონდებათ, ძნელად იქნება ისეთი დამე, რომ ერთ რომელსამე უბანში ლოტოს თამაშობა არ იყოს. თუ რომელსამე ქალს დააგვიანა ლოტოს თამაში, მაშინვე უბად აიღებენ: რა დაემართა, ნუ თუ ვერ მოუხერხებია სამოც-ოთხმოც ქალის შეგროვება, თითონ-კი ყველგან დაბრძანდებაო! მეტი გზა არა აქვს, უნდა გამართოს ლოტო. მიდიან სადამოს ექვს საათზედ რჩებიან დამის 12 საათამდის სტოვებენ ოჯახს, ქორვა ბავშვებს უპატრონოდ.

ასე მიმდინარეობს თელაველ ქალების ცხოვრება. ვაშა, თელაველო ქალებო!

კვირას, 18 იანვარს, ადამა მჭედლიშვილის სამიკიტნოში შეერილიყვნენ რამდენიმე ახალგაზდა და ტკბილად შეექცეოდენ ამ დროს გამოიარა ანდრო ბუიშვილმა. ერთმა დაუძახა: «მობძანდი, ღვინო მირთვიო». ბუიშვილმა ნაცნობები დაინახა, შევიდა; მიაწოდეს სავსე ჭიქა. ბუიშვილმა ღვინო დალია; მასპინძლებმა მიიწვიეს. თამადამ გაავსო ჭიქები და დაიძახა: ღმერთმა ადღეგრძელოს შენი მოსვლა, ჩვენი აქ დახვედრაო“. ამ დროს სოსია მაისურაძემ უარი განუცხადა, მე მაგის სადღეგრძელოს არ დავლევო, სადღეგრძელოს ნაცვლად სავსე ჭიქა სახეში სთხლიშა. ეს არ აკმარა. თავშიც ზედ მისურდა: „აი ეგ არის შენი სადღეგრძელოვო! მიიწიეს ერთმანერთზე, მაგრამ არ გაუშვეს.

როგორც შევიტყვეთ, მაისურაძეს ბუიშვილისა ძველი ჯავრი სჭირებია. აი ასე თავდება ჩვენში ღხინი და ქეიფი.

თელავში საკმაოდ ცივა. თოვლი კი ძალიან ცოტა მოვიდა.

ვანო თუმანაშვილი

—

**ქ. ოზურგეთი.** 25 იანვარს მოხდა საზოგადო კრება «ოზურგეთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის». განსახილველი საგნები იყო: 1) განხილვა და დამტკიცება ამხანაგობის 1903 წლის ანგარიშისა. 2) ამორჩევა საბჭოს ერთის წევრის ნაცვლად რ. წერეთლისა და გამგეობის წევრის ივ. ჭოველისა, რომელთაც წესდების ძალით ვადა გაუვიდათ.

სანამ ამ კრების დადგენილების შესახებ რამეს ვიტყოდეთ, საჭიროა მოვიყვანოთ ამ ამხანაგობის ვასული 1903 წლის ანგარიში: ამხანაგობას ვასულ წელს საწევრო ფული შემოსვლია: 5817 მ. 15 კ. მობარებული ფული 1650 მ 67 კ. უსესხებია 3000 მან სათადარიგო თანხა ჰქონია, 689 მ. 75 კ. გადასვლითი ანგარიში 407 მ. 89 კ. მოგება 729 მ. 26 კ.—სულ 12294 მ. 72 კ.—გასესხებული ჰქონია 11399 მ. 12 კ; ფულად არის (1 იანვარს) 411 მ. 10 კ. სარგებლიანი ქაღალდები 484 მ. 50 კ. —სულ 12294 მ. 72 კ.

კრება დაიწყო ქალაქის მოურავის დ. ცეცხლაძის თავმჯდომარეობით. მოურავმა წაიკითხა ოქმი სახელმწიფო ბანკის ინსპექტორის სტატსკი სოვეტნიკის ა. ბერეტტის, რომელსაც 1903 წლის 1 სექტემბერს ხსენებულ ამხანაგობაში რევიზია მოუხდენია, მაგრამ გარდა წვრილ-შეცდომებისა ცუდი და ურიგო არაფერი აღმოუჩენია... კრებამ დაადგინა 1) ანგარიში 1903 წლისა დამტკიცდეს, 2) იმავე წლის მოგებიდან გადაიდოს ა. სათადარიგო თანხისათვის მოგების ათი პროცენტი (72 მ. 95 კ.), შემოსული პროცენტიან ქაღალდებიდან 10 მ. 90 კ. ჯამაგირი 9 მ. 50 კ. ბ. სამის გამგეობის წევრის გასამრჯელოდ ოცდა ათი პროცენტი მოგებიდან, (218 მ. 76 კ.) გ, მოსაგები შეხვდა თითო წევრს მანეთზე 7 კ.—სულ 400 მ. 95 კ. კომიტეტის სასარგებლოდ გადადებული იქმნა 3 მ. 88 კ. და უიმედო ვალების დასაკმაყოფილებელ თანხისათვის, 12 მ. 32 კ. ვ) კრებამ ერთხმად აირჩია საბჭოს წევრად ისევ რ. წერეთლის და გამგეობის წევრად ივ. ჭოველი. 4) საზოგადო კრება ნებას აძლევს გამგეობას ისარგებლოს, ამხანაგობის საჭიროებისათვის ბათუმის სახელმწიფო ბანკის გახსნილ კრედიტით (3000 მანეთის) და მოაწეროს ხელი ვადდებულებაზე ამხანაგობის სახელით, მიიღოს შესანახად როგორც წევრთაგან, აგრეთვე გარეშე კაცთაგანაც ორჯერ მეტი არსებულ თანხისა და მისცეს პროცენტი: თიხის თვით 4 კ. ექვსის თვის ვადით 6 კ. წლიურად 7 კ., ორის წლით 8 კ. სესხში გადაიხდევინოს წევრთ ათი პროცენტი. 5) სამს გამგეობის წევრს მიეცეს მოგებიდან წინანდებურად ოცდა ათი პროცენტი.

დამსწრე.

## გურიას განსაცდელი მოელის, გურიას უჭირს.

«შობა-ახალ-წელიწადს გურიაში გახლდით, მაგრამ რა მერე... ყველგან დადუმილობა, ყველგან სამარესავით დუმილი!.. აღარსად ისმის დღესასწაულისებური ბავშვების კრიმანჭული!.. ოჯახიდგან არ გამოისმოდა სააახალწლო-თოფების გრიალი!.. არც მრავალჟამიერი ისმოდა და ჩვეულებრივი მოლხენაც არ სჩანდა. არსად გამიგონია სიმღერა, თითქო გუ'ულებს დავიწყებოდეთ მხიარულად დღესასწაულის მიგებებაო», აი ასე მწერს გურიიდგან ერთი ხალხის გულშემატკივარი. რას ჰნიშნავს ესა?.. უეჭველია, გურია ნადაც არა-ჩვეულებრივს მოელის.. რამ დაამღონჯვარა გურია!? რამ ჩააგდო საგონებელში?! ბავშვებს მაინც რადამ დასწყვიტა გული?! ნუ თუ ისეთი არა-ჩვეულებრივი რამ მოელის გურიას, რომ მისი მოახლოვება ბავშვებსაც-კი სცემს თავს-ზარს?! აი, საკითხი, რომლის პირდაპირი პასუხი... ყოვლად შეუბრალებელი და მკაცრი «შიმშილობაა». შიმშილობა! დიახ, ის შიმშილობა, რომელსაც არც დიდი გაუჩნია, არც პატარა, არც ავი, არც კარგი, არც კეთილი, არც უკეთური, არც დავრდომილი და სუსტი და ძლიერ მძლავრი. აი, ასეთის საშინელების მოლოდინშია დღეს გურია... ამან დაამღონჯვარა და ჩააგდო საგონებელში გურულები... და ამანვე აგრძნობინა თავისი მოახლოვება თვით პატარა ბავშვებსაც-კი!..

ახლა ერთი რამ ვიკითხოთ: რას უყურებენ გურულები, რატომ ხმას არ იღებენ?! იქნება, მათხოვრობის უჩვეველ თავ-მომწონე გურულებს, სხვებისათ ხელი გაიწოდონ და შემწეობა ითხოვონ?! ან იქნება ასეთის საჩუმით უნდათ მთელის ჩვენის ქვეყნის შეგნებულთა გამოცდა?! ასეა თუ ისე, იმათი დღევანდელი სიჩუმე რომ დროებითია, ეს ცხადზედ-უცხადესია, ეჭვს გარეშეა, რომ დღეს თუ ხვალ, გურიაში, ადამიანთა თავზარ-დამცემი «შიმშილობა» გაიხავსდებს და აი, ასეთის საშინელების წინაშე სდგას დღეს ყოველს საქმეში ფხიზელს, სწრაფს და მხნე არხულ გურულებს, ქედ-მოხრილს და დადვრემილ-დამღონჯვარებულებს... სჩანს, ამ საშინელების ბრჭყალებისგან ხსნის თუ უხსნელობის იმედი გურულებს დანარჩენ საქართველოს ქველ-მოქმედებაზედ შეუგდიათ და ამიტომაც მთელი გურია ჯერ-ჯერობით სდუმს...

მაშ, რადას უყურებთ, ჩვენის ქვეყნის ქველმოქმედნო?! რას უყურებთ ნასწავლნო, განათლებულნო?! რას უყურებთ ჟურნალ-გაზეთიანო, რედაქციებო და მათნო წარმომადგენელნო?! თქვენ ვიდას უყურებთ სხვა-და-სხვა კუთხეში მოსამსახურენო გურულნო?! ქალაქნო, დროა თქვენც ხელი გაუწოდოთ თქვენს მარჩენალ სოფლელებს... დღეს იმათ «შიმშილობის» ბრჭყალებში ჩავარდნა მოელით.., ნუ გახდი მსხვერპლად სიმშილისა, მიეც ძალა ძალთან საბრძოლველი... და ჰნახავთ, რომ მომავალში სოფლები ამ თქვენგან ნაბოძებს ძალას ერთი ათად დაგიბრუნებენ.. ვინც მსხვერპლს არ უცდის, დროა, დრო რედაქციებს თავიანთი წვლილი მიაწოდონ... დროა, რედაქციებმა მიჰყონ ხელი ასეთის შემოწირულების მოგროვებას. რედაქციებმა ეხლავე უნდა იკისრონ განივრული პროგრამის შედგენა და გამოცხადება შემოწირულებათა შესახებ.*) ქრისტიანული გრძნობა, კაცთ-მოყვარეობა, ზნეობრივი მოვალეობა და ფიქრი საკიდობო არის ამ შემთხვევაში ყოვლის მძლეთა-მძლე და, მაშასადამე, ამით ვიხელმძღვანელოთ ჩვენც.

მაშ, დავიწყოთ, რადას გუყურებთ?!

ტ. ართმელაძე

# თეატრი და ხელოვნება

**ქავკავი.** 25 იანვარს კავკავის ქართულ სცენის მოყვარულებმა წარმოადგინეს სამ მოქმედებიანი დრამა «ლეკის ქალი გულჯავარი“, ა. ცაგარლისა და ვოდევილი «ადამ და ევა». დრამაში მონაწილეობას იღებდნენ: ელენე სოლომონის ასული გვარამაძისა, (გულჯავარ) ბ. ცინცაძისა, გ. უთურაშვილი (ერეკლე ბატონიშვილი), ნ. კურდღელაშვილი (დევანი), მ. ო. თხელიძე (რევაზი), ბარისოვი (ზურაბი) და არჩ. ავალიშვილი (რამაზი). ვოდევილში—კნეინა ელისაბედ ხიმშიაშვილისა (თამარიკა) და კ. გახიანი (ივანიკა), მ თხელიძე (თ. ახირებულიძე).

ლეკის ქალი გულჯავარის ამბავი დრამისათვის წარმოადგენს მდიდარს და მშვენიერს მასალას, მაგრამ ამ პიესას, რომელიც ჯერ დაბეჭდილი არ არის, ზოგან ეტყობა შეუმუშავებლობა. ჩვენის სცენის მოყვარულნი, რომელთაც ეტყობოდათ საკმაო გარჯიში, საზოგადოდ კარგად იყვნენ მომზადებულნი და ამიტომ უმთავრესი როლები დრამაში თითქმის ყველამ კარგად ჩაატარა. კარგად იყო შესრულებული ქ-ნის გვარამაძის მიერ მთელი როლი გულჯავარისა, რომლის კარგად ცოდნა, მკაფიოდ და გრძნობით გამოთქმა, დევანისა და რევაზის მოხდენილი და გრძნობიერი თამაში — ყველა ეს ხელს უწყობდა ქ-ნს ელენე სოლომონის ასულს გვარამაძისას კარგად შეესრულებინა გულჯავარის როლი, ბ-ნმა უთურაშვილმაც რიგიანად იცოდა როლი; იგი ბევრს ცდილა დამსგავსებოდა ბატონიშვილ ერეკლეს, ამისათვის წვერ-ულვაშიც შეეწირავს, მაგრამ ყველა ეს მაინც ცოტაა მისთვის, რომ დაეხატა და თვალწინ დაეყენებინა საზოგადოებისათვის ჭაბუკი ერეკლე ბატონიშვილი. ბ-ნი ბარისოვ-კი სუსტი იყო ზურაბის როლში, არც გამოთქმა ჰქონდა ქართველის გლეხის და მასთან ზოგ ადგილებში როლის უცოდინარობაც ეტყობოდა. ვოდევილმა ჩინებულად და მხიარულად ჩაიარა. კარგად თამაშობდენ კნეინა ხიმშიაშვილისა და კ. გახიანი, რომელთაც საზოგადოება ბევრი აცინეს. მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოება მცირე დაესწრო წარმოდგენას.

საზოგადო შთაბეჭდილებას წარმოდგენაზე ხელს უწყობდა აგრეთვე კარგი დეკორაციები და უფრო მშვენიერი ფარდა, დიდის ხელოვნებით დახატული. ფარდა წარმოადგენს ტიპიურს ქართულ სოფელს. ფარდის პირველ რიგზე დახატულია ერთის მხრით სასახლე და მეორეს მხრით დანგრეული კოშკი; ამათ შუა — მოთამაშე ქალები და კაცები, შემდეგ ჩანდა ქართულ სოფელს ძველის ეკლესიითა და ქვითკირის გალავნითა და ბოლოს მოსჩანან უზარმაზარი ბუმბერაზ მთები თოვლიან-ყინულიანი. ეს ძვირფასი ფარდა დახატვინა თავის საფასით პატივცემულმა ალექსანდრე პეტრეს ძე მსარჯიშვილმა და შემოსწირა ქართულს სკოლას. ამ ხელოვნურის ნაწარმოებით დიდს სიამოვნებას გრძნობდა წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადოება.

კახაბერი.

*) რა ადრესით ჰგზავნონ ფული ან სხვა რაიმე სურსათი და სად? სად შეინახება შეგროვილი ფული, რომ არავის ეჭვი არ დაებადოს, ვინ დაურიგებს ხალხს; რანაირად უნდა გაწერიგდეს ეს შემოწირულება დამშეულთა შორის. რომ საჭირო არ შეიქმნას ეს შემოწირულება, მაშინ რა დანიშნულება მიეცემა ამ ფულს და სხვ...

ავტ.

# წერილი

## რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში შემდეგს: რადგან ქ. ლეიპციგში ქართველ მოსწავლეთა რიცხვმა ამ წელს ძლიერ იმატა (12 კაცია), ამისათვის უნივერსიტეტის სამკითხველოს გამგეს ვსთხოვეთ ნება მოეცა ქართულ ჟურნალ-გაზეთების სამკითხველოში დაწყობისა, რაზედაც ნება უკვე დაგვრთეს. ეხლა უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებს, ჩვენის უსახსრობის გამო უფასოდ დაგვითმონ თავიანთი გამოცემანი. გარდა ფოსტის ფულისა, რომელსაც მოკლე ხანში მოგაწვდით. ვთხოვთ სხვა რედაქციებსაც გადაჰბეჭდონ ეს წერილი.

ქართველთა პონდობილობით

სტ. დავით სულიაშვილი.

ადრესი: Leipzig (Германія) Akademische Lesehalle. (für d. georgiern).

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 იანვარი

**პეტერბურგი.** ორენბურგის ყაზახთა ჯარში მსახურს გენერალ-ლეიტენანტს ხან ხივისა სეიდ-მაჰმედ-რაჰიმ-ბოგადურ ხანს ებოძა გენერლობა კავალერიისა. ხოლო მემკვიდრე ხივის ხანისა სეიდ-ასფენდლიერ-ტიურე ჩაირიცხა ამავე ჯარში ვოისკოვო სტარშინათ. გენერალ-მაიორს ყილინსკის ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა და დაინიშნა მომქმედის ჯარის უფროსად შორეულ აღმოსავლეთში. რაკი ჯარების სასწრაფო გადაყვან-გადმოყვანაა ციმბირის რკინის გზაზედ, უმაღლესად ნაბრძანებია შეჩერებულ იქმნას გადასახლების მსურველთა გადაყვან-გადმოყვანა. რადგან მრავალია მსურველი შორეულ აღმოსავლეთში წასვლისა წითელის ჯვრის მოხელედ, ამიტომ დროებით შეჩერდა მსურველთა ჩაწერვა და ჩარიცხვა მოხელეთა სიებში. შორეულ აღმოსავლეთში ხამესტნიკის განკარგულებით მოისპო მიღება და გზავნა კერძო დეპეშებისა კვანტუნის არა თუ იმ დაწესებულებაში და ჩინეთის

---

გააჩინეს, როგორც იქნა და ნეტავი ერთი თქვენ ბედნიერ თვალს აჩვენა. ვიცი, განახვებათ სადმე პატრონისაგან მოძულებული და მინდვრათ გაგდებული, გაძვალტყავებული ცხენი, რომელსაც თავისი ტანჯული სული ამოსაძრობი აქვს და მელატურა და ყვავ-ყორნის კერძი გამხდარა. აი სწორედ ასეთი ხორცი იყიდება და პატრონი-კი არავინ უჩანს, უთხრას: კაცო, სახორცეთს რაზედ გვაძულებთო!.

— ქალაქის გამგეობას შეუძენია ავჭალის „კონკის“ პატრონისაგან ყველა დავარდნილი ცხენები, რომლითაც ქალაქს სადილმარხვოდ გაუმასპინძლდებიან. ბაქოს ქალაქის გამგეობას შემოუთვლია, ცოტა ჩვენც გვიწილადეთო. მაგრამ ჩვენს გამგეობას უპასუხნია: რას ამბობთ, ტფილისელები გაძვალტყავებულს ხორცის ჭამას ძლივს შევაჩვიეთო და ამიტომ ამ გამხდარ საქონელს ვერ შეველევითო.

— ქალაქის ბაზარი აყროლებულია თევზითა. ისეთი უვარგისი თევზი მოაქვთ, რომ დანახვაც-კი საზიზღარია, მაგალითად: მოაქვთ ლოქო, გალორწოვებული, გაყვლეფილი, მიჭყლეტილ-მოჭყლეტილი, საძაგელი და მამასისხლად ჰყიდიან, ძალიან მაგარი სტომაქი აქვთ ტფილისის მცხოვრებლებს, რომ ამას ინელებენ...

—

## ჩვენებური ამბები.

**ხონი.** ხონის ზოგიერთი ექიმბაშები ძველებურ თავადებს წარმოადგენენ. ამპარტავნულად, მედიდურად გამოიჭიმებიან ეტლში, კოზლის კოფაზედ წამოიჯენენ „პაციენტის“ პატრონს, რომლის ჯიბიდგან ისტუმრებენ მეეტლეს და მიაქანებენ ავადმყოფის ბინისკენ!—მივლენ, ავადმყოფს შეანძრევ-შამოანძრევენ, გამოუწერენ „რეცეპტს“, და ისევ დიდებულად გამორბიან ეტლით.

ერთ ადამიანს უკითხავს „ხონის“ ერთ ექიმისათვის: „რისთვის არის, კაცო, რომ გვერდით არ იჯენი „პაციენტებსაო“?! – „იმისთვის, რომ ჩვენს „პაციენტებს“ ხშირად ცხოველები ახვევიათო.

ავსუს, ავსუს, დროებავ, ისე გაგინაზებია ხალხი, ლატაკ მოძმეებს გვერდითაც არ ისმენ, თუმც მათი ნაოფლარით ჯიბეს კი ისქელებენ!..

კანტი.

—

**დუშეთი.** დუშეთში უცნაურობაა: მამები დედობენ და დედები მამობენ, ესე იგი მამები აკვნის ბავშვებს ნანას ეუბნებიან, დედები-კი კლუბში ბანქოობენ. ასე ერთს სადამოს, რვა საათზე, ბავშვები აკვნებში ჩააწვინეს, ქმრები მოაყენეს, თვითონ-კი კლუბში ბანქოს სათამაშოდ წავიდნენ. იმდენი ეთამაშნათ, რომ დალალულ-დაქანცულებს ზედ სტოლებზე დასძინებოდათ, ასე რომ ხუთშაბათს მისულები პარასკევს დილით ქმრებმა მძინარეები ნახეს. ასეთები გახლავან დუშელი დედები! წმინდა გიორგი გწყალობდეთ და ბოდორნის ღვთის მშობელი გფარვიდეთ!..

—

## ნარევ ნაკვეს-გასართობი.

უწინ და ახლა.

ჩემისთანა მდიდარი
ვეყანაზე ვინ არი?
რამდენს მინდა ვსვამ და ვსჭამ.
ვარ ყოველთვის მაძღარი.
ჩემი ცოლი და შვილი,
ფუფუნებით აღზრდილი,
არ გეგონოს ჯაგლაგი,
როგორც რომ გლეხის შვილი.
ერთი ბიჭი პურს მიცხობს
მეორე-კი ძროხას ჰკლავს;
სულ ყოველთვის ხუთ-ხუთი,
სადაც წავალ, თან მახლავს.
ღირსებით ვარ თავადი,
კაი თვალად-ტანადი.
ჩემი ხმალი ისრე სჭრის,
ვით ხორასნის ფოლადი.
ასე აქოდა თავადი,
ერთ დროს მხნე და გულადი...
ჩამოჰყარა ყურები,
შემოაკლდა სულადი;
აღარ ახლავს მცხობელი,
არც სხვა ვინმე მშრომელი,
არც ბეღელში სიმინდი,
კუჭის გამაძღობელი.
შემოეფცქვნა ლეკური,
განძი მამაპური...
კნეინა ეხვეწება,
ორჯერ სჩანთა პანღური.
წადი, იშოვე რამე,
მოიტანე, გვაჭამე,
შიმშილით ვიხოცებით
ეს ორი დღე და ღამე...

ვანო კესარიაშვილი.

—

## წერილი ყვავიჭაის ქვეყნიდან

წმინდა ლომის-კარელმა, იმ ჩვენმა ძლიერმა ხატმა, გაცოცხლოს შენ, ჩვენო გამოსკვინჩილებულო! რა საარაკო და სასაცილო ამბებს აწერიებ მაგ შენ გაზეთ „შურდულში“. იმისთანა კაცი არ მინახავს ჯერე, ვინც პაწაი კითხვა-კი იცის, რომ სიცილით არ კვდებოდეს, წაკითხვაზედ.

„წმინდა გიორგი, შენ დამიცევი! ხანდახან, ბატონო, იმისთანას გაკუეპება ზოგიერთები, რომ მადლობა ღმერთს, ცხრა მთას იქით ხარ, თორემ შენი მტერი, პირდაპირ გებდღვნებოდნენ ცხვირ-პირში. ძაან-კი მიკვირს მე: რეიზა არ მომივა კუჭი, რომ ვკითხულობ, აააჰ?!.. ეგება იგენისთანა წაკითხვა არ ვიცი, თუ გაგება არ მაქვს, აი ამიხსენი, თუ პაწაი ხათრი გაქვს ჩემი!.. ია ერაძე! მართლა ია და ვარდი ჰყვენია შენ გზას, რავა ყურბუშის ტყვიასავით მიქრის მაი შენი სიტყვა. ნეტაი აქანაი ჩამოგიყვანა და მომკლა და არ ვიცი... შენ-კი მიხვდები, სად ვამბობ... აი, ააა! ჩვენ დიდვრან კაცებთან. დედა! დედა! რამხელა კაცებია აქანაი, იცოდე ნეტაი...

ერთი, სურების ტყეი ხომ იცი, ახლა რომ გეიყიდა, იქინე მოჭრილ საწნახელს გავს, ეგება შენ, ბიჭა, საწნახელი არ იცი, რას ქვია—ააა! დიდ მორის ხეს ამოუჭრიან გულს, გათლიან, გაალამაზებენ და მერე, ბატონო, შიგ გოდრით დაუწყებენ ყრას ადესის ყურძენს, ფეხ დაბანილი კაცი შედგება შით და ურთავს და ურთავს ფეხებს, მერე ღვინოს გამეიღებენ და შით დარჩება ჭაჭა, ეგება, ჩემო იავ, შენ არ იცი, რას ქვია და ყველაფერს მე ხომ ვერ გასწავლი, მარა შენი ხათრი კი მაქ, ეგება აი დაბეჭდო და ამასაც გასწავლი. ჭაჭას მერე ღორებს გადოუყრიან, ძაან უხდება თურმე, შეათრობს და გორავს და გორავს, თან ქონიც ემატება. შენი სურვილი ხომ აგისრულე, ახლა მეც ამისრულე, აი დამიბეჭდე და მერე მე მკითხე პატივისცემა: ჭაჭიდგან გასუქებულ ღორის ბარკალს მოგართმევ.

— დედა, ღმერთო! რავა კინაღამ დამავიწყდა! რეიზა მიხარიან აქანაი შენი ჩამოსვლა, იცი? ია ერაძე პატარა კაცი უნდა იყო და ამ ჩვენ დიდვრან კაცებთან რამხელა გამოჩნდები, აი მინდა შევიტყო, თუმცა გულადი-კი შენ უფრო ხარ, რა გასაკვირია, როცა პაწაი ცული დიდ ხეს აქცევს.

„სკვინჩა“

—

## დეპეშა

(„შურდულის“ დეპეშათა სააგენტოსაგან.)

**ს. ამბროლაური** (რაჭა). ერთმა ვაჭარბატონმა მოინდომა აქ საარშიყო კლუბის დაარსება. მაგრამ აღარ დასცალდა ასეთი კეთილი საქმის სისრულეში მოყვანა: საუბედუროდ ამბროლაურისა, გადაყვანილ იქმნა სხვაგან. ქალთა საზოგადოებას ძალიან ეწყინა საქმის ჩაშლა.

**დაბა ხონი.** ერთმა აქაურმა მოვაჭრემ გამოსცა განცხადება: რადგან მე ერთი წელიწადი „ვირის აბანოში“ უნდა ვიყურყუტო, ამიტომ ვაცხადებ: წაიღეთ სესხად ფული მანეთი ორი აბაზ სარგებლით. ვისწავლე ჭკუა, მანეთზე მანათის აღებას და „ვირის აბანოში“ ყურყუტს, ორის აბაზის აღება სჯობნებია. განცხადებამ თავად-აზნაურთა შორის დიდი სიხარული გამოიწვია.

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

აღმოსავლეთ რკინის გზის სადგურებზედ, პორტ-არტურსა და ხარბინს შორის. ომის ატეხის გამო იაპონიასთან, უწმ. სინოდმა გადასწყვიტა: 1) გაეგზავნოს წითელ ჯვრის საზოგადოების მთავარ-სამართველოს სანიტარულ საჭიროებათათვის 100,000 მან. და 2) მიეწეროს მოსკოვისა და ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორებს, ეპარქიების ყოვლად-სამღვდელოთ, კარის სამღვდელოების გემგეს და სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების პროტოპრესვიტერს მოუწოდონ: ამავე საჭიროებისათვის შესწირონ შეწირულებანი ეკლესიებმა, სამღვდელოებმა, მონასტერ-უდაბნოებმა. ასეთი შეწირულებანი უნდა გადაეცეს წითელ ჯვრის ადგილობრივ განყოფილებათა, ხოლო სადაც ეგ განყოფილება არ არის,—ადგილობრივ ხაზინაში.—ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილეს მოხსენებაზედ, რომელშიაც გამოთქმული იყო უერთგულესობის გრძნობანი უწმ. სინოდისა ხელმწიფე იმპერატორმა ინება და საკუთარის ხელით დააწერა „ვმადლობ უწმ. სინოდს მისთა ლოცვათათვის“.—იუსტიციის მინისტრის მოხსენებაზედ, რომელშიაც გამოთქმულია უქვეშევრდომილესნი გრძნობანი უმართებულესის სენატისა ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და საკუთარის ხელით აღნიშნა: „გულ-წრფელად ვმადლობა უმართებულეს სენატის გამოთქმულ გრძნობათათვის“. მოსკოვის საბირჟო კომიტეტის თავსმჯდომარის დეპეშაზედ ხელმწიფე იმპერატორმა დააწერა: „ვმადლობ საბირჟო საზოგადოებას გამოთქმულ გრძნობათათვის და უხვის შეწირულებისათვის“- საიმპერატორო ალექსანდრეს ლიცეის მზრუნველის უქვეშევრდომილეს მოხსენებაზედ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დააწერა: გულითა და სულით ვმადლობ ლიცეის მოხელეთა და ყველა მოწაფეს მათი გრძნობათათვის, რომელიც ღრმად მრწამს“.—პირველი რაზმი ძმათა სათნოებისათა, სულ 25 კაცი 1 თებერვალს გაიგზავნება შორეულ აღმოსავლეთში.

**პეტერბურგი**. უმაღლესი ბრძანება უმართებულესის სენატის მიმართ: „დავინახეთ რა საჭიროდ საომარ ფეხზედ დავაყენოთ ჯარი და დაწესებულებანი ციმბირის სამხედრო ოლქისა, აგრედვე შევავსოთ სამხედრო კომპლექტამდე ზურგის ჯარი სამესტნიკოსი, ჩვენ ვუბრძანეთ დღეს სამხედრო მინისტრს ახლავე მოახდინოს ჩვენის ჩვენებისამებრ, ყოველივე ჯეროვანი განკარგულებანი. ამასთანავე ვბრძანებთ: 1) მოწვეულ იქმნას ნამდვილს სამსახურში სათადარიგო ჯარის კაცნი მხედრობისა და ფლოტისა, მობილიზაციის წესისაებრ ციმბირის სამხედრო ოლქის ყველა გუბერნიიდან და ყველა ქვეყნიდან, აგრედვე ყაზანის სამხედრო ოლქის მაზრებიდან, ვიატკისა და პერმის გუბერნიიდან; 2) მოწვეულ იქმნან აგრედვე იმპერიაში მცხოვრებნი, ყველა სათადარიგო ოფიცერნი, რომელნიც წესისაებრ მოვალენი არიან შეავსონ პოლკები ციმბირის ჯარებისა და 3) შეძენილ იქმნას მკვიდრთაგან საჭირო რიცხვი ცხენებისა იმ მოსაზრებათაებრ, როგორც ეს ადგილობრივ იქმნა საჭიროდ დანახული. უმართებულესმა სენატმა ჯეროვანი განკარგულება უნდა მოახდინოს“. ნამდვილზედ საკუთარის მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით აწერია: „ნ ი კ ო ლ ო ზ ი“. პეტერბურგი 29 იანვარს 1904 წელს—სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ ჩვენი კონტორები და განყოფილებანი აიღებენ ამას იქით ყოველ განაღდება-გასესხების ოპერაციების დროს ერთი პროცენტით მეტს, ვიდრე დღეს იღებენ.—30 იანვარს ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პარაკლისი სათნოების დათა გამგზავრების გამო შორეულ აღმოსავლეთს. 13 დაი სათნოებისა აღმოუჩენს შველასა და დახმარებას დაჭრილთ წყალში მცურავ ქსენიის შემწეობით. მათთან ერთად მიდიან შვიდნი თვისის ნება-ყოფლობით. აღფრთოვანება სამეუფო ქალაქის მკვიდრთა გრძნობითა არაჩვეულებრივია: ქუჩებში მანიფესტაციები იმართება; გუშინ დიდი სიმრავლე სტუდენტებისა გამართა უნივერსიტეტიდან საზამთრო სასახლისაკენ, გაჩერდნენ იქ, მოიხადეს ქუდები და სთქვეს გალობით: „ღმერთო, ჰფარავდე მეფესა,“ შემდეგ ალტაცებით მოისმა გრიალი „ურასი“. ხელმწიფე იმპერატორი მობრძანდა ფანჯარასთან თავი დაუკრა და მადლობა გადაუხადა. როცა სტუდენტებმა დაინახეს ფანჯარაში სათაყვანებელი ხელმწიფე, „ურამ“ უფრო ძლიერად დაიგრიალა. მისმა უდიდებულესობამ მიანდო სახლის კომენდანტს, მიდი სტუდენტებთან და გადაეცი, რომ გულითად მადლობას ვუხდით.

**ტიან-ძინი**. 30 იანვარი. („ჰავასის სააგენტო“). 27 იანვარს იაპონელებმა სცადეს ჯარის გაყვანა ლიაონდუნის ნახევარ კუნძულის ვიწრო ალაგას. ჯარის გაყვანის აზრი—კინჩაუ და დალნი იყო. ამ ცდამ ცუდად ჩაუარათ. როგორც ისმის, იაპონიის ორი პოლკი, რომელნიც გავიდნენ, ერთიან ამოჟლეტილ იქმნენ.

**პეტერბურგი**. 30 იანვარს უნივერსიტეტის სტუდენტები შეიკრიბნენ ანიჩკოვის სასახლის წინ. ჰიმნის შესრულების შემდეგ შესძახეს „ურა“, რომელიც დიდხანს არ შეწყდარა. დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული გამოვიდა ფანჯრის წინ და თავის დაკვრით მადლობა გადაუხადა ახალგაზდობას. ზოგი დამსწრეთაგანი აცრემლდა მეტის აღტაცებით.

**სტოკჰოლმი**. კაპიტანი გუსტავ კრააკი დაინიშნა საზღვაო აგენტად.

**სოფია**. („ოპოზიციის ცნობით“). აქაურმა სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ იკისრა ინიციატივა ყველა ბოლგარულ ეკლესიებში, რუსეთ-იაპონიის ომის გამო, პანაშვიდის გადახდისა, რათა უფალმან მიანიჭოს რუსეთის მხედრობის გამარჯვება ბოროტ მტრის წინააღმდეგ ომში.—30 იანვარს სოფიის სობოროში გადახდილ იქნება პირველი პარაკლისი.

— ბოლგარულ გაზეთებში ბევრი წერილები იბეჭდება, რომელშიაც აღწერილია მნიშვნელობა ამ ომისა სლავიანთა ქვეყნებისათვის. დიდად დარწმუნებულნი არიან, რომ ძლიერი და დაუძლეველია თანამოძმე ხალხი რუსეთისა.

**პარიჟი**. დეპუტატმა ბერრიმ ილაპარაკა პალატის კორიდორში, მე დელკასესთან მსჯელობა მქონდა რუსეთ-იაპონიის კონფლიქტის გამოო. ლაპარაკის დროს ბერრიმ აუწყა დელკასეს, მე მინდოდა წინადადება მიმეცა პალატისთვის, რომ რუსეთისთვის გაეგზავნა ადრესი და თავისი სიმპატია გამოეცხადებინა ამ მოკავშირე ნაციისათვის, მაგრამ ეს აზრი აღარ განვახორციელე ორის მოსაზრებითაო, სახელდობრ, 1) არავის ეჭვი არა აქვს საფრანგეთის რუსეთისადმი კეთილ გრძნობებშიო, 2) ასეთი ინიციატივა საბაბი გახდებოდა სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმის გამოსაწვევად, რაც სასურველი არ არისო; ამასთანავე შესაძლებელი იყო სხვა ქვეყნებში გაემართათ მანიფესტაციები საწინააღმდეგო აზრით.

**ტოკიო**. 29 იანვარი („რეიტერის სააგენტო“). იაპონიის იმპერატორმა დღეს გამოაცხადა შემდეგი მანიფესტი ომის შესახებ: „ჩვენ, იმპერატორი იაპონიისა, ვაუწყებთ ყველა ჩვენ ქვეშევრდომთა, რომ ჩვენ ამასთანავე ვუცხადებთ რუსეთს ომსა და ვუბრძანებთ ჩვენს ჯარსა და ფლოტსა შეუდგნენ სამხედრო მოქმედებას ყოველს თვისის შეიარაღებულის ძალღონითა. ჩვენი მუდმივი ზრუნვა იყო, ხელი მოგვემართნა ჩვენის სახელმწიფოს განვითარებისა და აყვავებისათვის, განმტკიცებისათვის მეგობრულის კავშირისა სხვა სახელმწიფოებთან და დასადგენად იმისთანა საქმეთა მდგომარეობისა, რომელიც დაიცავდა აღმოსავლეთ აზიაში ხანგძლივ მშვიდობასა და უზრუნველ ჰყოფდა მომავალში ჩვენს ძლიერებას, დაურღვევლად უფლებათა და ხელშეუხებლად სხვა სახელმწიფოთა ინტერესებისა. ჩვენი მოლოდინის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, გარემოებებმა ჩაგვაყენეს ისეთს ყოფაში, რომ გამოიწვია დაგვეწყო მტრული მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ. მხოლოდ იარაღით შეგვიძლია მომავალი ჩვენი უზრუნველ ვყოთ. ჩვენ ვსასოებთ, რომ ერთგულება და ვაჟკაცობა ჩვენთა ქვეშევრდომთა მალე აღადგენენ მტკიცე მშვიდობას და დაიცვამენ დიდებას თვისის სახელმწიფოისას.

**ლონდონი**. გლაზგოდან იტყობინებიან, რუსეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა აღმოსავლეთის აზიისათვის აღარ გზავნოს ნახშირი კარდიფიდან. ნახშირის გზავნა რუსეთის ხარჯზე ზოგან მოისპო სრულიად, ზოგან დაუყოვნებლივ შეაყენეს. იმ გემებმა, რომელთაც ნახშირი მიაქვთ და გზაში არიან, უნდა თვისი გზა შესცვალონ, რომ იაპონელებს არ ჩაუვარდნენ ხელში. გემი, რომელიც უნდა ნახშირით წასულიყო პორტ-არტურში და ეხლა შეყენებულია რუსეთის მთავრობისაგან, დაქირავებულია კონკონგისათვის ინგლისის ადმირალტეისტვისაგან.

**სტამბოლი**. პორტამ განაცხადა, რომ რუს-იაპონიის ომის დროს დაიცავს სრულს ნეიტრალიტეტს.

**კილი**. აქ არა იციან-რა იმის შესახებ, რომ რუსის ესკადრამ გაიარა იმპერატორ ვილჰელმის არხში.

**ჩიფუ** („რეიტერის სააგენტო“). სამშაბათიდან იაპონიის ფლოტი აღარ გამოჩენილა.

**ბერლინი**. გერმანიის კრეისერი „განზა“ წუხელის მოვიდა ჩიფუში და დღეს გაემართა პორტ-არტურისაკენ, რომ გერმანიის ქვეშევრდომთა ქალნი და ბავშვები გამოიყვანონ.

**ტიან-ძინი**. („ვოლფის სააგენტო“). აქ გავრცელდა ხმა, რომ ვლადივოსტოკიდან მომავალმა ხუთმა რუსის კრეისერმა სამშაბათს ყუმბარები დაუშინეს ხაკოდატეს.

31 იანვარი

**პეტერბურგი**. უქვეშევრდომილესი დეპეშა, მიღებული მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მიერ შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან პორტ-არტურიდგან: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას, რომ 29 იანვარს ნაღმიანი „გემი „ენისეი“-მ, რომელიც სწორედ იმ ადგილას იყო, სადაც ნაღმი და ასაფეთქი ლაღუმია ჩახერგილი, შეჰნიშნა ამოტივტივებული ნაღმი და მიუახლოვდა, რომ უვნებელ ეყო, მაგრამ დაეჯახა სხვა მახლობელს ნაღმს, რომელმაც იფეთქა გემის ცხვირ-ქვეშ. გემს უფროსობდა კაპიტანი მეორე რანგისა სტეფანოვი. მოასწრეს პატარა ნავების ჩაშვება, დაიღუპა აფეთქების დროს კომანდირი, მექანიკოსი იანოვსკი, მიჩმანები ხრუშჩევი და დრიჟენკო, ხოლო მდაბიო მეზღვაურნი 92 კაცი“.

ნიდერლანდები ნეიტრალიტეტს დაიცავენ.

31 იანვარი.

**ხარბინი**. მცხოვრებლებმა დიდის აღფრთოვანებით მიიღეს გამოცხადება მობილიზაციის შესახებ. იაპონელები თავიანთ ოჯახებით წავიდნენ აქედან. მოვაჭრე-იაპონელებმა აცნობეს ჩინელებს, მალე დავბრუნდებით და ისევ შევუდგებით საქმესაო.—იმის გამო, რომ ახლად გამოიწვიეს ჯარის-კაცნი და ჩინელნი წავიდნენ ახალი წლის გამო, რომელიც მალე დაუდგებათ, მუშა ხალხმა და მოსამსახურეებმა ძალიან იკლეს. წისქვილებში და სახელოსნოებში მუშაობა შეამოკლეს. დღითიდღე პირველ საჭიროების სანოვაგეზე ფასები მატულობს. რკინის გზაზე მოსამსახურენი თხოულობენ შემწეობას, რომ სახლობანი სამშობლოში გაგზავნონ. ჩინეთის მთავრობამ ბრძანება გამოსცა, დიდის რწმუნებით მოეპყრან რუსებს, ურჩევენ იმედი ჰქონდეთ რუსთა მფარველობისა და კანონიერ მოქცევისა. მცხოვრებთა და მოსამსახურეთ სულის სიმხნე ეტყობათ. მატარებელ-ექსპერსთა მიმოსვლა შესწყდა. უკანასკნელი მატარებელი 29 იაივარს წავიდა დალნიდან. გემთა მიმოსვლა დალნი-შანხაი-ნაგასაკში, აგრეთვე ვლადივოსტოკში შესწყდა.

**ტომსკი**. გიმნაზიის 15 შეგირდი შორეულ აღმოსავლეთში მიდიან თავისუფალ მეომრად.—მობილიზაციის გამო ქალაქს დიდი მოძრაობა დაეტყო.

**სოფია**. აქაურს ტაძარში პარაკლისი გადაიხადეს, რათა მიეცეს დიდ განმათავისუფლებელ რუსეთს ძლევა და გამარჯვება მტერზე, პარაკლისს დაესწრო მთავარი და ათასობით ხალხი.

**ბელგრადი**. 31 იანვარს სობოროში გადაიხდიან პარაკლისს, რომ რუსეთს მიენიჭოს გამარჯვება.

**სტამბოლი**. 30 იანვარს სელამლიქის შემდეგ სულთანმა მიიღო სანახავად რუსეთის ელჩი.

**პერიმი**. ჯიბუთიდან მოსული ცნობებით, იქ რუსის ესკადრა სდგას ნახშირის წასაღებად. ხუთ თებერვლამდე მოუცდის სხვა რუსეთის გემებსა, რომელიც სეუღიდან მოდიან.

**ტოკიო**. („ვოლფის სააგენტო“). საზღვაო ხამინისტრომ გამოაცხადა, სამხედრო კონტრაბანდად ჩასათვლელია: 1) იარაღი, სამხედრო სურსათი და ასაფეთქებელი მასალა, აგრეთვე ტყვია, გვარჯილა, გოგირდი, ცემენტი, მუნდირები, ხმელეთს და ზღვაოსანთა ჯარის ტანსაცმელთათვის სხვა-და-სხვა მასალა, აგრეთვე მასალა და საშენებელი იარაღი, და ყველა საქონელი, რაც-კი ომისათვის გამოსადეგია; 2) სანოვაგე, სასმელები, ცხენის იარაღი, საკვები, ურმები, ნახშირი, ხე-ტყე, მანეთები, ზოდები ოქროსი, ვერცხლისა, მასალა ტელეგრაფის, ტელეფონის და რკინის გზებისათვის, რაც-კი გზადმო აქვთ მტრის ჯარისკენ და იხმარებენ საომრად, 3) არ ჩაითვლება კონტრაბანდად მხოლოდ ის მასალა, რაც აუცილებელი საჭიროებაა თვით გემისათვის.

### პეტერბურგის ბირჟა

21 იანვარი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 94,20 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | 46.02½ |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | 37,50 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 95,90 |
| ბერლინში „ . . . . . . . . | 46,05 |
| პარიჟში „ . . . . . . . . | 37,72½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 93½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . . | 92½ მყ. |
| 5% პირ. შინაგ მომგ. ბილ. 1864 წ. | 353½ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . | 329 |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 250 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . | 192¼ |
| 6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . | 91 გაყ. |

### რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს**: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს**: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამცაბათობით).

**ყარს-ერევანს**: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის ბათომისაკენ**: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ**: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ**: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ**: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ**: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

## ც ნ ო ბ ა

მომავალ თებერვლის 15-ს, კვირას, ქ. ოზურგეთში დანიშნულია გურიის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა „შუამავლის“ ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება ეტლთა წარმოების ამხანაგობის კანტორაში. განსახილველი საგნები: 1) გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება წარსულ 1903 წლის ანგარიშისა; 2) არჩევა გამგეობის ერთი წევრის და ორი კანდიდატისა; 3) შედგენა ამხანაგობის ხარჯთ-აღრიცხვისა ამა 1904 წლისათვის; 4) შედგენა წესისა ანუ ინსტრუქციისა ამხანაგობის წარმოების შესახებ და აგრეთვე განხილვა ყველა იმ საგნებისა, რომლებიც წამოყენებული იქნება კრებაზედ.

შენიშვნა: თუ ეს კრება არ შესდგა, მეორე კრება დაინიშნება 22-ს თებერვალს და მისი დადგენილება ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. მეორე კრება გამოცხადდება გაზეთ «ივერია»-ში და კერძო ცნობა წევრთ აღარ გაეგზავნებათ.

1—1

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარელოების ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სნეულებით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

'კასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ქაჯანა

# ჩ ა ი

## ამხანაგობა ჩაის ვაჭრობისა

## ვ. ვისოცკი და კ°

მ ო ს კ ო ვ ს.

ტფილისის განყოფილება

მეიდანი, რკინეულობის ბაზარი, ტელეფონი № 432.

მირის თანხა 6.000.000 მ ა ნ ე თ ი.




წლიური აღებ-მიცემობა 20.000.000 მანეთზედ მეტი.

ჩაის მაღალის თვისების წყალობით და მეტადრე ძლიერის სურნელებისა, ნაზის გემოვნებისა და მუქის ფერის გამო, ჩვენმა ფირმამ დაიჭირა პირველი ადგილი ევროპაში წვრილად გაყიდულ ჩაის რაოდენობით.

ჩვენს ქარხნებში, რომელიც მოსკოვსა და ოდესაშია, სადაც იწონება ჩაი და იხვევა პარკებად, მუშაობს 1,500 კაცზედ მეტი.

**ჩვენი ჩაი იყიდება რუსეთის იმპერიისა და საზღვარ-გარეთის ყველა საუკეთესო მაღაზიაში.**

ჩვენის ფირმის ჩაის ყიდვის დროს ვთხოვთ ბ-ნთ მყიდველთ მიაქციონ ყურადღება სწორედ ჩვენი სავაჭრო მარკა—**ხომალდია**,—მთავრობისაგან დამტკიცებული, ზედ დახატული, თუ არა და მოითხოვონ **ჩაი ვისოცკისა ხომალდით**.

გამგეობა ამხანაგობისა მოსკოვშია.

**განყოფილებანი:**

ოდესს, ვარშავს, როსტოვს-დონ., ეკატერინბურგს, ხარკოვს, ტფილისს, რიგას, ვილნოს და სიმფეროპოლში. აგრედვე ნიჟეგოროდისა და ირბიტის ბაზრობაზედ.

ადრესი ამხანაგობისა მოსკოვსა და განყოფილებათათვის: „Товарищество чайной торговли В. Высоцкій и К-°“.

დეპეშებისათვის: „Корабликъ“.

ჩ ა ი თ ა ვ რ ო ბ ი ს ბ ა ნ დ ე რ ო ლ ი თ

(20—11)


Дозволено цензурою, тифлисъ 31 января 1904 г. Типографія Е. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-гр. епископаріи